

შპს პროფესიონალი“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2023

წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „პროფესიონალი“

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

დირექტორი შმაგი
ნეფარიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		2023	2022	2021
აქტივები	შენიშვნა		ლარი	ლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	69194	21355	69068
სავაჭრო მოთხოვნები	2	136535	133410	147985
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	207322	28775	48020
მარაგები		1038011	1077442	1137767
- მზა პროდუქცია				
- სხვა	4	1038011	1077442	1137767
საინვესტიციო ქონება				-
სხვა მიმდინარე აქტივები	5	2955	3544	35087
სხვა არამატერიალური აქტივები	6	1125	633	1356
ძირითადი საშუალებები	7	43168	46178	57613
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		1498350	1311337	1496896
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები		81043	92425	142175
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები		23635	7432	
გამოუმუშავებელი შემოსავალი				-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8			-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	350489	170134	335924

დირექტორი
შმაგი ნეფარიძე

მიღებული გრანტები					-
სხვა ვალდებულებები	10		20887	12770	4197
სულ ვალდებულებები			476054	282761	482296
საკუთარი კაპიტალი					
კაპიტალი			58338	78338	78338
საემისიო შემოსავალი					
გამოსყიდული საკუთარი აქციები					
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი			963658	950238	936262
გადაფასების რეზერვი					
სხვა რეზერვები					
სულ საკუთარი კაპიტალი			1022296	1028576	1014600
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			1498350	1311337	1496896
შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება			2023	2022	2021
ნეტო ამონაგები	11				
საქონლის გაყიდვიდან			1896244	2167786	2047821
მომსახურების გაწევიდან			457922	480047	490623
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12		(1102162)	(1275518)	(1259727)
საწყისი მარაგები					
მარაგების შესყიდვა					

დირექტორი
შმაგი ნეფარიძე

გადამუშავების დანახარჯები			-	-	
საბოლოო მარაგები					
საერთო მოგება		1252004	1372315	1278717	
სხვა შემოსავალი					
დასაქმებულთა ანაზღაურება		(483177)	(509123)	(552550)	
ცვეთა და ამორტიზაცია		(16000)	(18303)	(21615)	
საპროცენტო შემოსავალი:					
საპროცენტო ხარჯი :	13	(24484)	(37145)	(43544)	
იჯარის ხარჯი		(72924)	(72712)	(64237)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(63130)	(79458)	(86417)	
სულ საოპერაციო ხარჯები		(659715)	(716741)	(768363)	
საოპერაციო მოგება		592289	655574	510354	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:					
ფინანსური აქტივები					
მარაგები					
სხვა არაფინანსური აქტივები					
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(13395)	(4633)	(3145)	
მიღებული დივიდენდები					
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		7808	10839	7992	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან					
მოგების გადასახადი		(68652)	(62851)	(44110)	
მოგება/(ზარალი)		518050	598929	471091	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):					

დირექტორი
შმაგი ნეფარიძე

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების სხვა			-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		518050	598929	471091
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1028576	1014600	866766
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(500000)	(582420)	(339822)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(4330)	(2533)	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(20000)	16565	16565
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1022296	1028576	1014600

დირექტორი
შმაგი ნეფარიძე

შპს „პროფესიონალი“

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „პროფესიონალი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდი 405077839 დაარსდა 2014 წლის 5 თებერვალს. კომპანიის დამფუძნებლები არიან შმაგი ნეფარიძე(პ/ნ 01012009194)-35%, გიორგი ნეფარიძე (პ/ნ 01012025077)-20%, ნოდარი გურჯიძე (პ/ნ54001054452)- 35% , გიორგი გივიაშვილი (პ/ნ 01011015309) 10%.კომპანიის ახლანდელი დამფუძნებლები 2019 წლიდან ფლობენ აღნიშნულ წილებს. 2019 წლის დასაწყისში კომპანიას ჰყავდა ერთი დამფუძნებელი ნოდარი გურჯიძე (პ/ნ 54001054452)-100%.

კომპანიის დირექტორია შმაგი ნეფარიძე (პ/ნ 01012009194).

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, კაიროს ქ. №20, (ნაკვ. 02/035).

კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი,საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია,

დირექტორი შმაგი ნეფარიძე

რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა.

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976
ევრო/ლარი	2.8844	3.5040

ამონაგების აღიარება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; კომპანია ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბითუმო ვაჭრობა სხვა სათბობით.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

დირექტორი შმაგი ნეფარიძე

კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმომშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი ძირითადი საშუალების მიღებისას განესაზღვრება გამოყენები პერიოდი და ცვეთა ერიცხება წრფივად. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „კომპანია“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში. ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით,

გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდით

შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით:

დირექტორი შმაგი ნეფარიძე

შენობა	5 %
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20 %
არამატერიალური აქტივები	15%

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული

დირექტორი

შმაგიგი ნეფარიძე

დავალიანების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი

დირექტორი
შმაგი ნეფარიძე

აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით დაკლასიფიცირებულია მოკლევადიან
მოთხოვნებად

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2023	2022	2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	69194	21355	69068

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფული სალაროში და ფული ბანკში. 2023
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული სალაროში - 9112 ლარი, ფული ბანკში
60082 ლარი.

2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები	136535	133410	147985
--------------------	--------	--------	--------

კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მომხმარებლებთან, რომლებსაც აწვდის საქონელს
შემდგომი გადახდის პირობით, ხელშეკრულებების პირობები ინდივიდუალურია.

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	207322	28775	48020
--	--------	-------	-------

კომპანია მომწოდებლები შეადგენენ როგორც საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს
ისე არარეზიდენტ კომპანიას. კომპანიას გასაყიდი საქონელი ძირითადად
იმპორტით შემოაქვს.

დირექტორი
შმაგი ნეფარიძე

4. მარაგები

მარაგები	1038011	1 077442	1 137 767
საქონელი	1038011	1 077442	1 137 767

კომპანია მარაგებს აღრიცხავს საშუალო შეწონილი ღირებულებით.

საქონელი შედგება : ავტომობილის ნაწილები

ფილტრები

აქსესუარები

5. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები	32995	3544	35087
-------------------------	-------	------	-------

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ძირითადად გაცემულ სესხებს და მისაღებ პროცენტებს.

6. სხვა არამატერიალური აქტივები

სხვა არამატერიალური აქტივები	61125	633	1356
------------------------------	-------	-----	------

კომპანია ფლობს საბუღალტრო პროგრამას .

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	43168	46178	57613
----------------------	-------	-------	-------

დირექტორი
შმაგი ნეფარიძე

8. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0	0
---------------------------------	--	---	---

მიმდინარე სესხი მოიცავს სესხებს ბანკებისგან და ფიზიკური პირებისგან.

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	350489	170134	335924
------------------------------------	--------	--------	--------

კომპანიას ბანკებისგან აღებული აქვს რამდენიმე გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში და ასევე უცხოურ ვალუტაში.

10. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები	20887	12770	4197
--------------------	-------	-------	------

11. ამონაგები

კომპანია საქმიანობს სექტორში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება 2023 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 2 354 166 ლარი.

ნეტო ამონაგები	
საქონლის გაყიდვიდან	1 896 244
მომსახურების გაწევიდან	457922

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2023

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1 102162
---------------------------------------	-----------

თვითღირებულების მეთოდი საშუალო შეწონილი.

13. საპროცენტო ხარჯი

2023

საპროცენტო ხარჯი	24484
------------------	-------

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

2023

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	63130
--	-------

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი მოიცავს:

საწვავი - 2130 ლარი
სოციალური დანარიცხები - 8332
საოფისე ინვენტარი - 6454 ლარი
სხვა საგადასახადო ხარჯი - 1117 ლარი
კომუნალური ხარჯი - 3307 ლარი
დაზღვევა - 1341 ლარი
სხვა ხარჯი - 33061 ლარი
საბანკო მომს-5258 ლარი
კომპ ხარჯი-2130ლარი

დირექტორი
შმაგი ნეფარიძე

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2024 წლის 20 სექტემბერს.

